„მშობლები განათლებისთვის“

წესდება

დამფუძნებელთა/წევრთა შეთანხმება

მუხლი 1
ზოგადი დებულებები

1.1. *მშობლები განათლებისთვის* (წესდებაში შემდგომ მოხსენიებული როგორც ***ასოციაცია)*** წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად შექმნილ წევრობაზე დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.

1.2. ასოციაცია წარმოშობილად ითვლება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

1.3. ასოციაციის სახელწოდება: მშობლები განათლებისთვის

1.4. სამართლებრივი ფორმა: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

1.5. ასოციაციის იურიდიული მისამართი: თბილისი, დიდი დიღომი, იოანე პეტრიწის ქ. N11, ბინა 13, ელექტრონული ფოსტა: : georgianp4e@gmail.com

1.6. ასოციაცია თავისი წევრის (წევრების), აგრეთვე ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის (პირების) მდგომარეობისაგან დამოუკიდებელია. ასოციაციის პასუხისმგებლობა შემოიფარგლება მისი ქონებით. ასოციაციის ვალდებულებებისათვის მისი წევრები, აგრეთვე მისი ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი (პირები) პასუხს არ აგებენ. ასევე არ აგებს პასუხს ასოციაცია საკუთარი წევრების, აგრეთვე თავისი ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის (პირების) ვალდებულებებისათვის.

1.7. ასოციაციის მიზანია განათლების სისტემაში დემოკრატიული ღირებულებების გაძლიერება მშობელთა შესაძლებლობების განვითარებით და მათი ჩართულობის ხელშეწყობით.

1.8. ასოციაციის ამოცანებია:

1. მშობელთა და ბავშვთა უფლებების დაცვის უზრუნველყოფა.
2. მშობელთა განათლება და დემოკრატიული ცნობიერების ამაღლება.
3. განათლების პოლიტიკაში ბავშვების საუკეთესო ინტერესების ადვოკატირება.
4. განათლების მართვაში მშობელთა მონაწილეობის ხელშეწყობა.

1.9. საწესდებო მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად ასოციაცია აწარმოებს ნებისმიერ საქმიანობას, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას.

1.10. ასოციაცია უფლებამოსილია ეწეოდეს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას, რომლიდან მიღებული მოგებაც უნდა მოხმარდეს ასოციაციის მიზნებს. ასეთი საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების განაწილება ასოციაციის დამფუძნებლებს, წევრებს და შემომწირველებს შორის დაუშვებელია.

1.11. ასოციაციის საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ გასხვისება ემსახურება ასოციაციის საქმიანობას, მის ორგანიზაციულ განვითარებას, ხელს უწყობს მისი მიზნების განხორციელებას ან ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს.

მუხლი 2
ასოციაციის დამფუძნებელი წევრები

2.1. საზოგადოების დამფუძნებელი წევრები არიან:

მანანა ჯინჭარაძე
თამარ ილურიძე
მედეია კავთუაშვილი
თეა ცხვირაშვილი
გიორგი გახელაძე
თამარი მახარაშვილი
თეა ბულია
ლევან ალაფიშვილი

მუხლი 3
ასოციაციის წევრობა

3.1 ასოციაციის წევრობა

3.1.1.წევრები შეიძლება იყვნენ როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირები.

3.1.2. ასოციაციას წევრთა კატეგორიები

ა) **ნამდვილი წევრი** - ფიზიკური პირი, რომელიც იზიარებს ასოციაციის მიზანს და მზად არის აქტიური მონაწილეობა მიიღოს ასოციაციის მართვაში.
ბ) **მხარდამჭერი** - ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც აქვს სურვილი მხარი დაუჭიროს ასოციაციას და ასოციაციის მიზნის მიღწევას.

3.2 გაწევრიანება

3.2.1 ასოციაციაში გაწევრიანების მსურველი წერილობითი განცხადებით მიმართავს ასოციაციის გამგეობას და შეავსებს სპეციალურ ანკეტას;
3.2.2 წევრად მიღების საკითხს გამგეობა წყვეტს როგორც წესი განაცხადის შემოსვლიდან 1 თვის გასვლის შემდგომ.
3.2.3 ასოციაციის წევრ იურიდიულ პირს ასოციაციაში წარმოადგენს წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი ან მინდობილობით განსაზღვრული/უფლებამოსილი პირი.

3.3 წევრობის შეწყვეტა

ასოციაციის წევრს შესაძლოა შეუწყდეს წევრობა:

- საკუთარი განცხადების საფუძველზე
- საწევროს გადაუხდელობის შემთხვევაში: საწევროს დროულად გადაუხდელობის შემთხვევაში ასოციაციის წევრს შეუწყდება ინფორმაციული უზრუნველყოფა და სხვა შეთავაზებები, თუმცა ექვსი თვის მანძილზე მას შეუნარჩუნდება ასოციაციის წევრის სტატუსი. საწევროს ექვსი თვის გადაუხდელობის შემთხვევაში ასოციაციის წევრს შეუწყდება წევრობა.
- წევრი იურიდიული პირის ლიკვიდაციის შემთხვევაში
- ასოციაციის წესდების, წესდებით დაკისრებული ვალდებულებების, პრინციპების ან გამგეობის მიერ დადგენილი ეთიკის სტანდარტების დარღვევის შემთხვევაში.

3.4 წევრთა უფლება-მოვალეობები

3.4.1 ნამდვილი წევრის უფლებები

- აირჩიოს და არჩეულ იყოს ასოციაციის მმართველ ორგანოებში
- ასოციაციის საერთო კრებაზე წამოაყენოს საკითხი განსახილველად
- მონაწილეობა მიიღოს ასოციაციის საერთო კრებაზე გადასაწყვეტი საკითხების კენჭისყრაში
- ისარგებლოს ასოციაციის მიერ წევრობის შესაბამისი სტატუსისთვის დადგენილი შეღავათებით და მომსახურებით

3.4.2 ნამდვილი წევრის ვალდებულებები

- დაესწროს ასოციაციის საერთო კრებებს
- გადაიხადოს საწევრო
- დაიცვას ასოციაციის ეთიკის ნორმები

3.4.3 მხარდამჭერის უფლებები

- დაესწროს საერთო კრებას და გამგეობის სხდომას
- მონაწილეობა მიიღოს ასოციაციის საერთო კრებაზე საკითხების განხილვაში კენჭისყრაში მონაწილეობის უფლების გარეშე
- ისარგებლოს ასოციაციის მიერ წევრობის შესაბამისი სტატუსისთვის დადგენილი შეღავათებით და მომსახურებით

3.4.4 მხარდამჭერის ვალდებულებები

- დაიცვას ასოციაციის ეთიკის ნორმები

მუხლი 4

საზოგადოების მართვა

ასოციაციის მართვა ხორციელდება საერთო კრების, გამგეობის და აღმასრულებელი დირექტორის მიერ

4.1. საერთო კრება

- ასოციაციის უმაღლესი მმართველობით ორგანოა **წევრთა საერთო კრება**
- წევრთა საერთო კრება იმართება წელიწადში ერთხელ მაინც, გამგეობის მოწვევით.
- რიგგარეშე საერთო კრების მოწვევის უფლება აქვს გამგეობას გამგეობის წევრთა რიცხოვნობის 2/3-ის უმრავლესობით
- საერთო კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება ნამდვილ წევრთა/დელეგატთა არანაკლებ ნახევარი
- საერთო კრებაზე წევრთა დელეგირების წესსა და პროცერდურებს განსაზღვრავს გამგეობა, რაც საერთო კრებამდე ეცნობებათ ნამდვილ წევრებს

4.1.2. საერთო კრების ფუნქციები:

- წევრთა საერთო კრება ირჩევს გამგეობის შემადგენლობას ფარული კენჭისყრით, უბრალო უმრავლესობით, ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში ინიშნება მე-2 ტური. თუკი მე-2 ტურშიც ვერ შეირჩევა გამგეობის წევრი, კენჭისყრა გაგრძელდება გამგეობის წევრის არჩევამდე.
- ისმენს ასოციაციის საქმიანობის და ფინანსურ ანგარიშებს
- ამტკიცებს საქმიანობის სტრატეგიულ მიმართულებებს დამსწრეთა მარტივი უმრავლესობით
- ასოციაციის თვითლიკვიდაციის ან რეორგანიზაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღება კრებაზე დამსწრეთა 2/3-ის უმრავლესობით
- წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დამსწრეთა 2/3-ის უმრავლესობით

4.2. გამგეობა

- ასოციაციის წევრთა საერთო კრებებს შორის პერიოდში გადაწყვეტილების მიმღები ორგანოა ასოციაციის გამგეობა, რომელიც შედგება 6 წევრისაგან.
- გამგეობის წევრი აირჩევა 3 წლის ვადით. ასოციაციის რეგისტრაციიდან 1 წლის შემდგომ და მომდევნო პერიოდებისთვის გამგეობის შემადგენლობა განახლდება 1/3-ით. დაფუძნებისას განისაზღვრება პირველი გამგეობის წევრთა უფლებამოსილების ვადები, შესაბამისად 2 წევრის - 1 წლით, 2 წევრის - 2 წლით, 2 წევრის - 3 წლით.
- გამგეობის წევრი შესაძლოა იყოს ასოციაციის ნამდვილი წევრი
- გამეგობის წევრთა არჩევნების და ნომინირების კრიტერიუმები განისაზღვრება საერთო კრების მიერ გამგეობის წევრთა ნომინირების დაწყებამდე.
- ასოციაციის გამგეობა იკრიბება სულ მცირე წელიწადში 2-ჯერ. გამგეობის მოწვევა შეიძლება გამგეობის ნებისმიერ წევრის ან ასოციაციის წევრთა არანაკლებ 1/5-ის ინიციატივით.
- გამგეობის სხდომა უფლებამოსილია თუ მას ესწრება გამგეობის წევრთა არანაკლებ 2/3-ისა. თუ ამ წესდებით სხვა რამ არ არის სპეციალურად განსაზღვრული, გამგეობა გადაწყვეტილებებს მიღებს დამსწრეთა უბრალო უმრავლესობით.

4.2.1. ასოციაციის გამგეობის ფუნქციები:

- ასოციაციის გამგეობა განიხილავს და ამტკიცებს ასოციაციის სტრატეგიულ გეგმას;
- ახორციელებს მინოტორინგს საქმიანობის შესრულებაზე
- ზრუნავს ასოციაციის ფინანსურ სტაბილურობაზე
- ამტკიცებს წლიურ ბიუჯეტს
- ნიშნავს ასოციაციის აღმასრულებელ დირექტორს
- იღებს გადაწყვეტილებას წევრად მიღების და შეწვეტის შესახებ

- განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს საწევრო გადასახადის შემოღების, ოდენობის და გადახდის წესის შესახებ

მუხლი 5
ასოციაციის ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

5.1. ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარე

- ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარეს ირჩევს გამგეობა თავისი შემადგენლობიდან 2 წლის ვადით. ერთი და იგივე პირი გამგეობის თავმჯდომარედ შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ 2-ჯერ
- ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარე წარმართავს ასოციაციის საერთო კრებას და გამგეობის კრებებს;
- გამგეობის თავმჯდომარეს აქვს შეუზღუდავი წარმომადგენლობითი უფლებამოსილება
- გამგეობის თავმჯდომარე შეიძლება იმავდროულად იყოს აღმასრულებელი დირექტორი. ასეთ შემთხვევაში, საკითხებზე რომლებიც შეეხება აღმასრულებელ დირექტორს იგი არ მონაწილეობს კენჭისყრაში

5.2. ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი

- ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი შეიძლება იყოს ფიზიკური პირი, რომლიც წერილობით თანახმაა დაიკავოს ეს თანამდებობა
- ასოციაციის აღმასრულებელ დირექტორს ირჩევს/ნიშნავს გამგეობა
- ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი უზრუნველყოფს ასოციაციის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულებას, უზრუნველყოფს ასოციაციის პროგრამების განხორციელებას
- აღმასრულებელ დირექტორს აქვს შეუზღუდავი წარმომადგენლობითი უფლებამოსილება წარმოადგენდეს ასოციაციას სხვა იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან ურთიერთობისას, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საზღვარგარეთ.
- აღმასრულებელ დირექტორს აქვს შეუზღუდავი ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება, მათ შორის ასოციაციის სახელით აწარმოებს მოლაპარაკებებს და დებს ხელშეკრულებებს.
- აღმასრულებელი დირექტორი შეიძლება იმავდროულად იყოს გამგეობის წევრი და/ან გამგეობის თავმჯდომარე

5.3. ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარე და აღმასრულებელი დირექტორი წარმომადგენლობით უფლებამოსილებას ახორციელებენ ცალ-ცალკე.

მუხლი 6
ასოციაციის ლიკვიდაცია/რეორგანიზაცია

6.1. ასოციაციის რეორგანიზაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6.2. ასოციაციის ლიკვიდაცია ხორციელდება მიზნის მიღწევის შედეგად, სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე, გაკოტრებისას ან სხვა საფუძვლით საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად .

6.3. ლიკვიდაციის დროს უნდა დასრულდეს მიმდინარე საქმეები, დადგინდეს მოთხოვნები, დარჩენილი ქონება გამოიხატოს ფულში, დაკმაყოფილდნენ კრედიტორები და დარჩენილი ქონება გამგეობის გადაწყვეტილებით გადაეცემა ანალოგიური მიზნის მქონე არასამეწამეო იურიდიულ პირს.

6.4. წევრთა გადაწყვეტილება საზოგადოების ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ უნდა დარეგისტრირდეს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. ლიკვიდაციის პროცესი დაწყებულად ითვლება მისი რეგისტრაციის მომენტიდან.

6.5. ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილ პირებს განსაზღვრავენ ასოციაციის წევრები. ასოციაციის ლიკვიდაციისას ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ:

ა) გასხვისება ხელს უწყობს მის მიერ დასახული მიზნების განხორციელებას;

ბ) ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს;

გ) ქონება გადაეცემა სხვა არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.

6.6. აკრძალულია ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების განაწილება ასოციაციის დამფუძნებლებს, წევრებს, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის.

6.7. თუ ასოციაციის წევრებმა არ განსაზღვრეს ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილი პირი, სასამართლო ასოციაციის ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილ ქონებას გადასცემს შესაბამისად ერთ ან რამდენიმე არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, რომლებსაც აქვთ იგივე ან მსგავსი მიზნები, როგორიც ლიკვიდირებულ ასოციაციას. თუ ასეთი ორგანიზაციები არ არსებობს ან შეუძლებელია ასეთი ორგანიზაციების გამოვლენა, მაშინ შეიძლება მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება ამ ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ. სასამართლომ ქონება შეიძლება გაანაწილოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციიდან 6 თვის შემდეგ.

6.8. ლიკვიდაციას ახორციელებს ხელმძღვანელობის უფლებამოსილების მქონე პირი (პირები) ან კანონით დადგენილი წესით დანიშნული ლიკვიდატორი. ლიკვიდატორი პასუხს აგებს, როგორც ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი.

მუხლი 7

დასკვნითი დებულებები

7.1. წინამდებარე წესდება ძალაში შედის ყველა დამფუძნებელი წევრის მიერ ხელმოწერის მომენტიდან.

7.2. თუ ამ წესდების რომელიმე დებულება ბათილად იქნა ცნობილი, ეს გავლენას არ მოახდენს წესდების სხვა დებულებების ნამდვილობაზე.

7.3 ამ წესდებასა და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას შორის არსებული შეუსაბამობის შემთხვევაში მოქმედებს კანონი.

7.4. ასოციაციის გამგეობის წევრთა, გამგეობის თავმჯდომარის და აღმასრულებელი დირექტორის ცვლილება არ ნიშნავს და არ მოითხოვს წესდებაში ცვლილებებს და წესდებაში ცვლილებების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების განსახვავებულ წესს. აღნიშნულ საკითხებზე სარეგისტრაციო დოკუმენტები შედგება და წარედგინება საჯარო რეესტრს შესაბამისად, ასოციაციის საერთო კრების

თავმჯდომარის, გამგეობის თავმჯდომარის და/ან აღმასრულებელი დირექტორის მიერ ხელმოწერილი ოქმის სახით. ამასთან, ოქმის სანოტარო წესით დამოწმება არ არის სავალდებულო და მისი ხელმოწერა შესაძლებელია განხორციელდეს სარეგისტრაციო ორგანოში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ასოციაციის გამგეობის წევრები, გამგეობის თავმჯდომარე, აღმასრულებელი დირექტორი და ხელმოწერები

გამგეობის წევრები

მანანა ჯინჭარაძე
მედეია კავთუაშვილი
გიორგი გახელაძე
თამარი მახარაშვილი
თეა ბულია
ლევან ალაფიშვილი

ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარე

მედეია კავთუაშვილი

ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი

მედეია კავთუაშვილი